საქართველოს მთავრობის

დადგენილება №443

2015 წლის 26 აგვისტო

ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის:

1. მე-5 მუხლის:

ა) 1^1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სააგენტოს მიერ, პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე კომერციული ბანკის მიერ მოთხოვნილი კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობას, სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით.“;

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წარმოების დაწყებიდან ან/და არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით დამტკიცებული პროექტის შემთხვევაში, კომერციული ბანკის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან ორი წლის განმავლობაში წარმოების პროფილის შენარჩუნებას;“;

ბ.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-4 პუნქტის:

გ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წარმოების დაწყებიდან ან/და არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით დამტკიცებული პროექტის შემთხვევაში, ლიზინგის საგნის გაცემიდან ორი წლის განმავლობაში წარმოების პროფილის შენარჩუნებას;“;

გ.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-6 მუხლის:

ა) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამითა და მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით კრედიტის დამტკიცების შემთხვევაში, სააგენტო ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში ახორციელებს:

ა) კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის აშშ დოლარში გაცემულ კრედიტზე დარიცხული არაუმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 8 (რვა) პროცენტის ოდენობით/ლარში გაცემულ კრედიტზე დარიცხული არა უმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 10 (ათი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, კრედიტის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან 29 (ოცდაცხრა) თვის განმავლობაში;

ბ) კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის აშშ დოლარში გაცემულ კრედიტზე კომერციული ბანკის მიერ მოთხოვნილი კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობას კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის ძირითადი თანხის 50 (ორმოცდაათი) პროცენტის, მაგრამ არაუმეტეს 1,000,000.0 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობით/ლარში გაცემულ კრედიტზე კომერციული ბანკის მიერ მოთხოვნილი კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობას კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის ძირითადი თანხის 50 (ორმოცდაათი) პროცენტის, მაგრამ არაუმეტეს 2,500,000.0 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით.

3. პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის პირველად გაცემული კრედიტის მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 150,000.0 (ას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს/250,000.0 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური მოცულობა – 2,000,000.0 (ორი მილიონი) აშშ დოლარს/5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარს.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კომერციული ბანკის მიერ პროექტის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემული კრედიტის სარგებლობისათვის განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) 500,000.0 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარამდე – არაუმეტეს 11 (თერთმეტი) პროცენტისა;

ბ) 500,000.0 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარიდან 1,000,000.0 (ერთი მილიონი) აშშ დოლარამდე – არაუმეტეს 10 (ათი) პროცენტისა;

გ) 1,000,000.0 (ერთი მილიონი) აშშ დოლარიდან 2,000,000.0 (ორი მილიონი) აშშ დოლარამდე – არაუმეტეს 9 (ცხრა) პროცენტისა;

დ) 1,500,000.0 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარამდე – არაუმეტეს 13 (ცამეტი) პროცენტისა;

ე) 1,500,000.0 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარიდან 3,000,000.0 (სამი მილიონი) ლარამდე – არაუმეტეს 12 (თორმეტი) პროცენტისა;

ვ) 3,000,000.0 (სამი მილიონი) ლარიდან 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარამდე – არაუმეტეს 11 (თერთმეტი) პროცენტისა.“;

გ) მე-8 პუნქტის:

გ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში კრედიტის რეფინანსირების შემთხვევაში, არ უნდა იზრდებოდეს კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისათვის და უზრუნველყოფაში თანამონაწილეობისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა;“;

გ.ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ პროექტზე სააგენტომ განახორციელოს გაცემულ კრედიტზე ბანკის მიერ მოთხოვნილი კრედიტის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა პროგრამის ბენეფიციარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად ამოწურვამდე,

მაგრამ არა უმეტეს კრედიტის გაცემიდან 48 თვისა;";

გ.გ) „ზ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-8 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ" ქვეპუნქტი:

„კ) კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კრედიტის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში დასაშვებია ისეთი პარალელური კრედიტის გაცემა, რომლის დროსაც არ უნდა გაიზარდოს კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისათვის და უზრუნველყოფაში თანამონაწილეობისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა.";

ე) მე-9 და მე-10 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. 6^1 მუხლის:

ა) მე-8 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სალიზინგო პროექტის რეფინანსირების შემთხვევაში, არ უნდა გაიზარდოს სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა.".

4. 12^1 მუხლის „ბ", „გ", „დ" და „ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მეწარმე სუბიექტი – 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი;

გ) მეწარმე სუბიექტთა ჯგუფი – 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე არაუმეტეს სამი ფიზიკური პირის გაერთიანება;

დ) პროგრამის ბენეფიციარი – მეწარმე სუბიექტი, რომელმაც მიიღო პროგრამით განსაზღვრული ხელშეწყობა ამ პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად, სააგენტოსთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად და მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა;

ე) პროგრამის ბენეფიციართა ჯგუფი – მეწარმე სუბიექტთა ჯგუფი, რომელმაც მიიღო პროგრამით განსაზღვრული ხელშეწყობა ამ პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად, სააგენტოსთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად და მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა;".

5. დანართის :

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მინერალური საწვავი, ნავთობი და მათი გამოხდის პროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; მინერალური ცვილები:

ნავთობის ბიტუმი (271320)
ნავთობი ნედლი და ნავთობპროდუქტები ნედლი, მიღებული ბიტუმოვანი მინერალებისაგან (2709)

ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი ქანებისაგან, ნედლის გარდა; პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი, ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული ნავთობის ან ნავთობპროდუქტების 70 მას.% ან მეტი შემცველობით, ამასთან, ეს ნავთობპროდუქტები წარმოადგენენ პროდუქტების ძირითად შემადგენლებს; ნამუშევარი ნავთობპროდუქტები (2710)
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები დანარჩენი (2711)
ბიტუმი და ასფალტი, ბუნებრივი; ბიტუმოვანი ან ნავთობიანი ფიქალი და სხვა (2714)
ბიტუმოვანი ნარევები, ბუნებრივი ასფალტი (2715)

“;

ბ) მე-7 პუნქტის 7.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**7. მერქნისა და მერქნის ნაწარმის წარმოება**:

7.1. მერქანი და მისი ნაწარმი; ხის ნახშირი
ნახერხი და ხე-ტყის ნარჩენები აგლომერირებული ან არააგლომერირებული ხის გრანულებისა და პელეტების სახით (440131)
მოსაპირკეთებელი ფურცლები, შეწებებული ფანერისათვის ან სხვა ანალოგიური შერეული მერქნისათვის და სხვა ხის მასალა (4408)
ხე-ტყის მასალა გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, შრეებად გაყოფილი ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან მის გარეშე, სისქით 6 მმ-ზე მეტი (4407)
დახერხილი ხე-ტყე დაპროფილებული პაგონაჟის სახით (4409)
ფილები მერქან-ბურბუშელისა (4410)
ფილები მერქანბოჭკოვანი მერქნის ან სხვა გამერქნებული მასალებისაგან (4411)
ფანერა დაწებებული, პანელები ხის დაფანერებული და ანალოგიური მასალები შერეული მერქნისაგან (4412)
მერქანი დაწნეხილი, ბლოკების, ფილების, ძელების ან დაპროფილებული ფორმების სახით (4413)
ხის ჩარჩოები სურათების, ფოტოგრაფიების, სარკეების ან ანალოგიური საგნებისათვის (4414)
ყუთები, კოლოფები, გოდრები და ანალოგიური ტარა მერქნისაგან (4415)
კასრები, როფები და სხვა საკასრე ნაწარმი მერქნისაგან, ტკეჩის ჩათვლით (4416)
ინსტრუმენტები, კორპუსები და სახელურები ინსტრუმენტებისათვის მერქნისაგან (4417)

სამშენებლო ნაწარმი ხისა (4418)
სასადილო და სამზარეულო საკუთნოები, ხისაგან (4419)
ხის ნაწარმი მოზაიკური და ინკრუსტირებული (4420)
ნაწარმი ხისა, სხვა (4421)

“;

გ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**15. მინერალური პროდუქტები**

15.1. მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი; მადნები, წიდა და ნაცარი; მინერალური საწვავი, ნავთობი და მათი გამოხდის პროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; მინერალური ცვილები
მარილი (სუფრისა და დენატურირებული მარილის ჩათვლით) და ნატრიუმის ქლორიდი სუფთა, წყალში გახსნილი ან გაუხსნელი, ან შეწებების შემაფერხებელი (ან ფხვიერობის უზრუნველმყოფი) აგენტების დანამატების შემცველი; ზღვის წყალი(2501)
გოგირდი ყველა სახის, სუბლიმირებული, დალექილი და კოლოიდური გოგირდის გარდა (2503)
გრაფიტი ბუნებრივი (2504)
ქვიშა ბუნებრივი, ყველა სახის, შეღებილი და შეუღებავი, 26 ჯგუფის ლითონიანი ქვიშების გარდა (2505)
კვარცი (ბუნებრივი ქვიშის გარდა), კვარციტი უხეშად დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, დახერხილი ან დაუხერხავი ან სხვა საშუალებით დაყოფილი მართკუთხა ფორმის (კვადრატულის ჩათვლით) ბლოკებად ან ფილებად (2506)
კაოლინი და თიხები კაოლინური, დანარჩენი კალცინირებული ან არაკალცინირებული (2507)
დანარჩენი თიხები (6806 სასაქონლო პოზიციის მფუვანი თიხების გარდა), ანდალუზიტი, კიანიტი, სილიმანიტი, კალცინირებული ან არაკალცინირებული თიხები, მულიტი, შამოტის ან დინასის მიწები (2508)
ცარცი (2509)
კალციუმის ფოსფატები ბუნებრივი, ალუმინკალციუმის ფოსფატები ბუნებრივი და ფოსფატის ცარცი (2510)
ბარიუმის სულფატი ბუნებრივი (ბარიტი), ბარიუმის კარბონატი ბუნებრივი (ვიტერიტი), კალცინირებული ან არაკალცინირებული, 2816 სასაქონლო პოზიციის ბარიუმის ოქსიდის გარდა (2511)
ინფუზორული მიწები კაჟიანი (მაგალითად, კიზელგური, ტრეპელი და დიატომიტი) და ანალოგიური კაჟიანი მიწები, კალცინირებული ან არაკალცინირებული, 1 ან ნაკლები ხვედრითი წონით (2512)
პემზა, ზუმფარა, კორუნდი ბუნებრივი, ძოწი ბუნებრივი და დანარჩენი ბუნებრივი

აბრაზიული მასალები, თერმულად დამუშავებული ან დაუმუშავებელი (2513)

ფიქალი, უხეშად დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, დახერხილი ან დაუხერხავი, ან სხვა წესით დაყოფილი მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) ფორმის ბლოკებად ან ფილებად (2514)

მარმარილო, ტრავერტინი, ანუ კირქვიანი ტუფი, ეკაუსინი და დანარჩენი კირქვები ძეგლების ან მშენებლობისათვის, 2,5 ან მეტი ხვედრითი წონით და ალებასტრი, უხეშად დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, დახერხილი ან დაუხერხავი, ან სხვა წესით დაყოფილი მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) ფორმის ბლოკებად ან ფილებად (2515)

გრანიტი, პორფირი, ბაზალტი, ქვიშაქვა და ქვა ძეგლების ან მშენებლობისათვის, დანარჩენი, უხეშად დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, დახერხილი ან დაუხერხავი, ან სხვა წესით დაყოფილი მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) ფორმის ბლოკებად ან ფილებად (2516)

დოლომიტი, კალცინირებული ან არაკალცინირებული, შეცხობილი ან შეუცხობელი, უხეშად დამსხვრეული ან დახერხილი, ან სხვა წესით დაყოფილი ბლოკებად ან მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) ფორმის ფილებად, დოლომატის სატენი ნარევი (2518)

მაგნიუმის ბუნებრივი კარბონატი (მაგნეზიტი), მაგნეზია გამდნარი, მაგნეზია გადამწვარი (აგლომერირებული), აგლომერაციამდელი, წინ დამატებული მცირე რაოდენობის სხვა ოქსიდების შემცველობით ან მათ გარეშე, მაგნიუმის სხვა ოქსიდები, მინარევებით ან მინარევების გარეშე (2519)

თაბაშირი, ანჰიდრიტი, ბათქაში (წარმოდგენილი კალცინირებული თაბაშირის ან კალციუმის სულფატის სახით), შეუღებავი ან შეღებილი, მცირე რაოდენობის დამაჩქარებლების ან შემანელებლების შემცველობით ან მათ გარეშე (2520)

კირქვის ფლუსი, კირქვა ან სხვა კირის შემცველი ქვა, გამოსაყენებელი კირის ან ცემენტის დასამზადებლად (2521)

კირი ჩაუმქრალი, ჩამქრალი და ჰიდრავლიკური, 2825 სასაქონლო პოზიციაში მითითებული კალციუმის ოქსიდისა და ჰიდროქსიდის გარდა (2522)

პორტლანდცემენტი, ცემენტი თიხამიწოვანი, ცემენტი წიდისა, ცემენტი სუპერსულფატიანი და ანალოგიური ჰიდრავლიკური ცემენტები, შეღებილი ან შეუღებავი, მზა ან კლინკერების ფორმით (2523)

აზბესტი (2524)

ქარსი, მათ შორის, განშრევებული, ქარსის ნარჩენები (2525)

სტეატიტი ბუნებრივი, უხეშად დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი, დახერხილი ან დაუხერხავი, ან სხვა წესით დაყოფილი ბლოკებად ან მართკუთხა (კვადრატულის ჩათვლით) ფორმის ფილებად, ტალკი (2526)

ბორატები ბუნებრივი და მათი კონცენტრატები (კალცინირებული ან არაკალცინირებული), ბუნებრივი მარილწყლიდან გამოყოფილი ბორატების გარდა, ბორის მჟავა ბუნებრივი, H_3BO_3-ის შემცველობით მშრალ პროდუქტზე გადაანგარიშებით არაუმეტეს 85 მას.%-ისა (2528)

მადნები და კონცენტრატები რკინის, გამომწვარი პირიტის ჩათვლით (2601)

მადნები და კონცენტრატები მანგანუმის, მშრალ პროდუქტზე გადაანგარიშებით 20 მას.% ან მეტი მანგანუმის შემცველობის რკინოვანი მანგანუმის მადნებისა და კონცენტრატების ჩათვლით (2602)
სპილენძის მადნები და კონცენტრატები (2603)
ნიკელის მადნები და კონცენტრატები (2604)
კობალტის მადნები და კონცენტრატები (2605)
ალუმინის მადნები და კონცენტრატები (2606)
ტყვიის მადნები და კონცენტრატები (2607)
თუთიის მადნები და კონცენტრატები (2608)
კალის მადნები და კონცენტრატები (2609)
ქრომის მადნები და კონცენტრატები (2610)
ვოლფრამის მადნები და კონცენტრატები (2611)
მოლიბდენის მადნები და კონცენტრატები (2613)
ტიტანის მადნები და კონცენტრატები (2614)
მადნები და კონცენტრატები ნიობიუმის, ტანტალის, ვანადიუმის ან ცირკონიუმის (2615)
მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონებისა (2616)
დანარჩენი მადნები და კონცენტრატები (2617)

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ და „დ“ ქვეპუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

3. დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 30 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**